

## ოქმი N3

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

ქ.ოზურგეთი

2020 წელი, 17-18-19 თებერვალი  
10საათი-17 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე .

ესწრებოდნენ:გ.ღურჯუმელიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, დ.მჟავანაძე, შ.გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ.ვასაძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ბ.ქათამაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ნიჭარაძე, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, თ.ბურჭულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 30-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც 30-ხმით დაამტკიცეს.

## დღის წესრიგი

**2.1.** „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: გიორგი ჩაგანავა**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ მისი აზრით, ამ დადგენილების მიღების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, წინასწარი კვლევები არაა ჩატარებული, საბაზრო ფასები იცვლება, მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასები კი არ იცვლება, რაც გადახედვას საჭიროებს.

**9.2.** „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პელაგია კალანდაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით

საკითხი საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დადგა მიმდინარე წლის 24-თებერვლამდე. განიხილავს დარგობრივი კომისია (გ.კილაძე).

საკითხის განხილვისას საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ უნდა იყოს განმარტებული, რისთვის უბრუნებს მუნიციპალიტეტი სახელმწიფოს კუთვნილ ქონებას.

**3.3.** „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით

**10.4.** „საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ იგი უფრო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშია ვიდრე სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, არაა საუბარი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გაწეულ საქმიანობაზე, დებულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაკამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის ფორმატი არ პასუხობს სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობის დახასიათებას, საუბარი უნდა ყოფილიყო უშუალოდ სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სამუშაობის შესრულებაზე, მაგალითად: პროგრამული ბიუჯეტის დახვეწასა და ინდიკატორების განსაზღვრაზე.

საკრებულოს წევრმა ბ.ქათამაძემ დასვა შეკითხვა- რამ განაპირობა მერიის მიერ ერთ პირთან მოლაპარაკებით შესყიდვის განხორციელება?

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ.მჭავანაძემ დაამატა, რომ ერთ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება მერიას შესაბამისი სამსახურის გვერდის ავლით აქვს გაკეთებული, მაშინ რაღა საჭიროა სამსახური ანდა ა(ა).ი.პ -ი?.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხზე დებატების გამართვა არამართებულია, ფრაქციას შეუძლია ფრაქციის სხდომაზე მოიწვიოს პასუხისმგებელი პირი და დეტალურად განიხილოს საკითხი.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ საკითხი სერიოზულია, მაგრამ განმცხადებლებმა ცინიკური განცხადებებით დაუკარგეს აქტუალობა.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ბ.ქათამაძემ დასვა შეკითხვა-წინა წლებში თუ იყო ნაკლოვანებები და გამოსწორდა თუ არა ისინი? განუმარტეს, მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში დგება ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ შ.პ.ს -ები შემოწმდა, ისინი დაგეგმილი უნდა იყოს მოგებაზე, ლიცენზიების გაცემაზე თუ ტარდება მონიტორინგი?

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაკამ განაცხადა, რომ ოლიმპიურ სახლზე იყო რეკომენდაცია გაწეული მომსახურების გადახდის წესზე-განხორციელდა თუ არა?-განუმარტეს, რომ ბალანსები არ არსებობს და გაურკვეველობაა.

TV პირველის კორესპოდენტმა ნ.გოგელიამ დასვა შეკითხვა-გაცემული დანამატის უკან დაბრუნება რამდენადაა სამართლებრივად სწორი? განუმარტეს, რომ გამცემ ორგანოს ან თანამდებობის პირს აქვს ამის უფლება.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ილია ლეჟავა**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

13.00 -საათზე გამოცხადდა 30-წუთიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 24-მა საკრებულოს წევრმა.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თენგიზ ქუტიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესია ცენტრი გეგმავდეს პრიორიტეტების მიხედვით სამუშაოებს, ამასთან აღნიშნა -ნარჩენების მართვის გეგმა მეორე ხარისხის ხარისხიანი გახდა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის თავმჯდომარემ დ.მჭავანაძემ დასვა შეკითხვა-რამდენი მსუბუქი ავტომობილია ცენტრის ბალანსზე? 270 -თანამშრომელია შტატში, 17% სპეციალისტია რას აკეთებენ, რაა მათი ფუნქცია? განმარტეს, ერთი სპეციალური ავტომობილი იჯარითაა აყვანილი, რაც შეეხება სპეციალისტებს- ისინი მუშების საქმიანობას უწევენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს.

15.10-საათზე გამოცხადდა 10-წუთიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 24-მა საკრებულოს წევრმა.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ ანგარიში პასუხობს მოთხოვნებს, შემდეგ დასვა შეკითხვები: რამდენ ფართობს ასუფთავებენ? უპასუხეს-300 ათას კვადრატულ მეტრს, რა ღონისძიებები იგეგმება გმირთა მოედნის დატბორვის თავიდან ასაცილებლად? - განმარტეს-უფრო ხშირად უნდა მოხდეს სანიაღვრე არხების გაწმენდა, როდის დამთავრდება სასაფლაოების ინვენტარიზაცია? იგეგმება თუ არა მოსაკრებლის ამოღების გაზრდა? განმარტეს-სასაფლაოების ინვენტარიზაცია სრულდება, მოსაკრებლის ამოღების გაზრდა ძალიან გართულებულია.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „შ.პ.ს სატისი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ნოდარ თოიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ დასვა შეკითხვა-2019 წელში წყლის 126 გაკეთებული ანალიზიდან რამდენში იყო

დაფიქსირებული უარყოფითი შედეგი? განუმარტეს-12 მათგანში იყო მცირე ბაქტერიოლოგიური დანაგვიანება. დაფინანსების 50% მიდის შრომის ანაზღაურებაზე, წინასწარ იცით რამდენი დაიხარჯება სამუშაოებზე? - განუმარტეს, რომ აქვთ სამუშაოთა გეგმა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ დასვა შეკითხვა-ჯუმათის წყალსადენი გადმოეცა თუ არა მუნიციპალიტეტს? უპასუხეს-გადმოცემულია.

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა განაცხადა, რომ ნატანების ჭაბურღილები ბალანსზე უნდა გადმოეცეს „სატის“-უპასუხეს, რომ მუშაობა დაწყებულია.

საკრებულოს წევრმა გ.თოიძემ დასვა შეკითხვა ლიხაურის წყალსადენების გადმოცემაზე-განუმარტეს-მუშაობა დაწყებულია.

საკრებულოს წევრ ბ. ქათამაძის აზრით ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა და იმსახურებს კარგ შეფასებას.

**10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ამბაკო გოგოტიშვილი**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ დასვა შეკითხვა-რამდენი ერთეული ტრანსპორტი ჰყავს ორგანიზაციას? - უპასუხეს 6-საკუთარი, ერთი დაქირავებული. რატომ არ იზრდება შრომის ანაზღაურება, როცა შეიძლება შესაბამისი რეზერვის გამონახვა? მიეცა განმარტება. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ გ.თოიძემ დასვა შეკითხვა გადმოცემულ ავტობუსებზე.

**11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გაია სკამკოჩაიშვილი**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ დასვა შეკითხვა: ზვანისა და ექადიის ქუჩები არსებობენ? უპასუხეს დადებითად. 2020 წლის ბიუჯეტის განხილვისას დადგა საკითხი ქალაქის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებაზე, ამ კუთხით თუ არის დაგეგმილი სამუშაოები? განმარტეს, რომ მუშაობენ ამ გეგმის საბაზისო შრის მომზადებაზე. დაისვა შეკითხვა-ორგანიზაცია შეძლებს ამ გეგმის მომზადებას? განმარტეს, რომ არსებობს ამ წელში გეგმა საბაზისო სამუშაოების შესასრულებლად, რაც შეეხება სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებას და განაშენიანების გეგმას, გააკეთებს მოწვეული სპეციალისტი.

ფრაქციის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ დასვა შეკითხვა-გააკეთებენ თუ არა სოფლის ინფრასტრუქტურულ პროექტებს? მიიღო უარყოფითი პასუხი.

ამის შემდეგ სხდომა გადაიდო 18 თებერვალის დღის 11.00-საათისათვის.

18 თებერვალს 10.00 -საათზე რეგისტრაცია გაიარა 31-მა საკრებულოს წევრმა.

12. ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-  
□ მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: რომან**

**გოგიტაური**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ დასვა შეკითხვა-რამდენი პარკომატი დაყენდება? განუმარტეს, რომ ტესტირებისათვის დაყენდება რამდენიმე.

საკრებულოს წევრმა გ.ჩავლეშვილმა დასვა შეკითხვა-სამუშაო საათების შემდეგ დგომა უფასოა-როგორ იმუშავებს პარკომატი? განუმარტეს, რომ აპარატს ააქვს საათი.

ფრაქციის თავმჯდომარე გ.ჩავლეშვილმა განაცხადა-ქ.ბათუმში არის ერთკვირიანი ქვითარი, არ შეიძლება აქაც გაკეთდეს? უპასუხეს, რომ დადგენილება ითვალისწინებს მხოლოდ ზონალურ-საათობრივ პარკირებას.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ დ.მჭავანაძემ განაცხადა, რომ უმჯობესია უფრო მაღალ ტექნოლოგიებზე იფიქრონ. შემდეგ დასვა შეკითხვა-რა იყო ამ იურიდიული პირის შექმნის მიზანი? უპასუხეს, რომ ქალაქად პარკირების მოწესრიგება და შემოსავლების ზრდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის გამოყოფილია თუ არა ადგილები? როდიდან დაიწყება სპეციალური საშვების დამზადება?

ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ განაცხადა, რომ ბევრი ამ ორგანიზაციაში დასაქმებული სოციალური სააგენტოდანაა გამოგზავნილი, საერთოდ წარმატებები თვალსაჩინოა.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ ანგარიში წინა წელსაც იყო მოსმენილი, იყო შენიშვნები, ოპერატორების კვალიფიკაციაზე, მომსახურების დონის ამაღლებაზე, ტაქსებისათვის სადგომები არაა გამოყოფილი.

საკრებულოს წევრ დ.მდინარაძის აზრით, მისახედია თანამშრომლების სპეციალური ფორმირებით აღჭურვის საკითხი.

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქტიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თემურ გიორგაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ.ნინიძემ დასვა შეკითხვა-ბოლო წლებში მართალია მოხდა მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია, მაგრამ აუცილებელია შიდა გზების მოწესრიგებაც, მუნიციპალიტეტს აქვს ინერტული მასალების კარიერი?-განუმარტეს რომ ხდება ინერტული მასალების შესყიდვა.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ იკითხა-რატომ არაა პასუხი მიღებული სკოლების სამოქალაქო კლუბების წერილებზე? სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ შეისწავლის მიზეზს და ოფიციალურად მოახსენებს.

საკრებულოს წევრმა დ.მდინარაძემ დასვა შეკითხვა-იგეგმება თუ არა მაღაზონიას ქუჩაზე არსებული საცხოვრებლების ფასადების შეფუთვა და ჯორჯიაშვილის ქუჩის 1-შესახვევის მოწესრიგება?-მიეცა განმარტება.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ტ.აროშიძის აზრით, სამსახური წარმატებულია და მუშაობა უნდა შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს წევრ მ.ზოიძის აზრით ყველა სოფელში ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა ხორციელდებოდეს თანაბრად.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარის ე.გორდელაძის აზრით ბევრი სამუშაო განხორციელდა, მოთხოვნა გაიზარდა, მისასალმებელია ამ სამსახურის საქმიანობა.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.ბიგვაძას აზრით სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თავად წარმოდგენილი ანგარიში არ შეესაბამება ფორმატს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე უნდა ყოფილიყო საუბარი, არაა მოხსენებული მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები, დასვა შეკითხვა სანაპიროს ქუჩის გარე განათების სამუშაოების მიმდინარეობაზე.

13.30-საათზე გამოცხადდა 1-საათიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 25 -მმა საკრებულოს წევრმა.

**14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „რაგბის განვითარების კავშირი“-ს მიერ**

2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თენგიზ კალანდაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძამ დასვა შეკითხვა-დამტკიცებულია თუ არა საშტატო განრიგი? მომხსენებელმა უპასუხა, რომ ჯერჯერობით მუშაობენ ძველი საშტატო განრიგით.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა-კლუბში იყო დაპირისპირება-ამჟამად როგორია მდგომარეობა? უპასუხეს რომ გამოსწორებულია.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ბ.დოლიძემ დასვა შეკითხვა-მიმდინარეობს თუ არა მუშაობა რაგბის პოპულარიზაციისთვის? მიეცა განმარტება.

**15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხურთო კლუბი „მერცხალი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ზურაბ ჯულელი**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის დ.დარჩიას აზრით, მისასალმებელია, რომ გუნდები დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. ძირითადი გუნდის განვითარება დამოკიდებულია ფინანსებზე.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.საჯაიას აზრით, გუნდში იყო დაპირისპირება-შეიცვალა თუ არა სიტუაცია? უპასუხეს, რომ დიდი ცვლილება არაა, ფინანსებზე არის დამოკიდებული განვითარება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ როცოც ჩანს ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე.

**16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანები“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოჩა კვიციანი**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ გამოთქვა აზრი 4-მარტს საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოეწვიათ ევროპის ვიცე ჩემპიონი ჭიდაობაში ი.ლომამე და მისი მწვრთნელი და დაეჯილდოებინათ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

**17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ქეთევან ლორთქიფანიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღნიშნა, რომ ურეკის კულტურის სახლი სერიოზულ კულტ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა და დადებითად უნდა შეფასდეს მისი მუშაობა, ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ.

**18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მაკა ჭყონია**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის დ.დარჩიას აზრით ეს ა(ა).ი.პ-ი ერთერთი ყველაზე წარმატებულია.

საკრებულოს დარგობრივი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.საჯაიას აზრით ორგანიზაციაში ზრუნავენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განხლებისათვის, ამასთან იძენენ ხარისხიან ტექნიკას, დასვა შეკითხვა, რატომ შეწყდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დეკემბერში ადრე და აქვთ თუ არა სათამაშოები საკმარისი? განმარტეს, რომ ხაზინის გამო მოხდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ნაადრევად შეწყვეტა, სათამაშოებს კი წელსაც შეიძენენ.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა იკითხა-იყო თუ არა წელს ხორცილ მომარაგებაში პრობლემები? განუმარტეს, რომ არ არის პრობლემები ამ კუთხით.



საკრებულოს წევრმა ვლ.ბერიძემ იკითხა: იგეგმება თუ არა ნარუჯის ბაღში ბუნებრივი აირის შეყვანა? უპასუხეს, რომ შესასრულებელია სამუშაოები, რომელსაც გაზის კომპანია ითხოვს.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ იკითხა-ტარდება თუ არა წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზი? ახლდება თუ არა საგანმანათლებლო პროგრამები? ამასთან იყო თუ არა შენიშვნები ბაღების მუშაობასთან დაკავშირებით? უპასუხეს, რომ წყლის ანალიზები კეთდება პერიოდულად, საგანმანათლებლო პროგრამები ახლდება, რამდენიმე ბაღი დაჯარიმდა სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ.

საკრებულოს წევრმა ლ.კილაძემ დააყენა მელექედურის ბაღის სახურავის მოწესრიგების საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში ვრცელი და საინტერესოა, დაინტერესდა ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებზე მიღებული საკრებულოს დადგენილებების შესრულების მდგომარეობით, იყენებენ თუ არა ვებგვერდს, განმარტეს, რომ ყველა ბაღს დაურიგდა დადგენილებები, აღნიშნა ინკლუზიურ განათლებაზე-უპასუხეს იმ ბაღებში, სადაც ასეთი კონტიგენტია ხელშეკრულებით აკყავთ სპეციალისტები.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო ელექტრონულად შემოსული შეკითხვა-მოქალაქეების მაგდა მიმინოშვილისა და მანანა გაბუნიას-შეკვეთილში გზის რეაბილიტაციის თაობაზე.

**19. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ავთანდილ თავართქილაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა-მიემართოს მუნიციპალიტეტის მერიას გაკეთდეს გალერეას შენობის ტექნიკური ექსპერტიზა.

საკრებულოს თავმჯდომარემ დარჩიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია: გალერეა ორ მუნიციპალიტეტში-ოზურგეთსა და სენაკშია გადარჩენილი.

მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.ბიგვაძეს აზრით გალერეაში ხშირად ეწყობა გამოფენები, შენობა კი რემონტს ექვემდებარება.

დარგობრივი მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.საჯიას აზრით გალერეა ნაყოფიერად მოღვაწეობს და მისი მუშაობა უნდა შეფასდეს დადებითად.

**20. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თამარ ნადირიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა განახადა, რომ ჯუმათის კლუბის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, შესაძლებელია კლუბის გახსნა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ორგანიზაციაში წრეობრივი მუშაობა გახსნილია, უნდა გახსნილიყო ახალი ტექნოლოგიური წრე -განუმარტეს, რომ გახსნილია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა მოწსრიგებულია თუ არა მომღერლების შრომის ანაზღაურების საკითხი? ნორჩ ჟურნალისტთა წრე არსებობს თუ არა? აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები გათვალისწინებულია თუ არა? უპასუხეს-შრომის ანაზღაურება ქალაქისა და თემის მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა იყო და დარჩა, ეტაპობრივად გათანაბრდება, ჟურნალისტთა წრე გაუქმდა, აუდიტის რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

**21.** ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლელა შარაშენიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ სწავლების პროცესი რთულია, მუნიციპალიტეტს რითი შეუძლია დაგეხმაროთ-უპასუხეს-მუსიკალური ინსტრუმენტები ძველია, შესაძენია ახლები.

სხდომა გადაიდო 19 თებერვლის 11.00-საათისავის.

19 თებერვალს 11.00-საათზე რეგისტრაცია გაიარა 26 -მა საკრებულოს წევრმა.

**22.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი“ გურია“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ნათია დუნდუა**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.ბიგვავას აზრით „გურია“ მხარეში ერთადერთი სახელმწიფო ანსამბლია და უნდა გაეზარდოს დაფინანსება.

**23.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლაშა კუტალაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

**24.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მაია ქუტიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა შიდა აუდიტის სამსახურმა შეამოწმა ცენტრი, შესრულებულია თუ არა მისი რეკომენდაციები? გადაწყდა თუ არა ტრანსპორტის შეძენის სკიტი? უპასუხეს-რეკომენდაციები გათვალისწინებულია, ტრანსპორტი შეძენის ფაზაშია.

საკრებულოს წევრ დ.მდინარაძის აზრით ცენტრი კარგად მუშაობს და მისი საქმიანობა უნდა შეფასდეს დადებითად.

**25.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლიანა ბაქანიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა იკითხა-იგეგმება თუ არა სოფლებში და მათ შორის ჯუმათში სასოფლო ბიბლიოთეკის გახსნა? უპასუხეს დაგეგმილია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ მადლობა გადაუხადა ცენტრს ფონდებთან ნაყოფიერი მუშაობისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, აღნიშნა, რომ შენობას ესაჭიროება რეაბილიტაცია.

**26.** ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების“ მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოგა ტრაპაიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ გ.თოიძემ განაცხადა, რომ ლიხაურის მუზეუმის შენობის სახურავი შესაკეთებელია, ცუდ მდგომარეობაშია გურიანთის მუზეუმიც, არსებობს ექვთიმე თაყაიშვილის მემორიალური კარმიდამო, რატომ არაა შეტანილი ტურისტულ ობიექტებში? უპასუხეს, რომ მემორიალური კარმიდამო კერძოა და საჭიროა მფლობელის თანხმობა, რაც ჯერჯერობით არ მიგვიღია.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ მადლობა გადაუხადა ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში არჩილ თალაკვაძეს ისტორიული მუზეუმის შენობის რეაბილიტაციაში დახმარებისათვის.

**27.** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის“ მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კახა ვასაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

14.00 -საათზე გამოცხადდა 1-საათიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 24-მა საკრებულოს წევრმა.

28. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაკამ განაცხადა, რომ ანგარიში კარგად იქნა წარმოდგენილი, მაგრამ იგი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში უფროა, ფორმატი არ შეესაბამება სამსახურის ანგარიშს, მომავალში უნდა გაითვალისწინოთ.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ანგარიშის ფორმატი არ პასუხობს მოთხოვნებს, ამასთან არ იყო საუბარი იმ გეგმიურ სამუშაოებზე, რომელიც არ შესრულდა. ქალაქად, ზვანში არ არის საბავშვო ბაღის შენობა, რა ღონისძიებები გაატარა სამსახურმა? დაუდასტურეს, რომ აუცილებელია შენობის აგება, იყო საუბარი მერთან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ საბავშვო ბაღების პრობლემებზე მოსმენილი იყო შესაბამისი ა(ა).ი.პ-ს ანგარიში. ანგარიშის მოსმენისას, საინტერესოა სამსახურის მოსაზრებები სასტარტო პროცესებთან დაკავშირებით, ბაღებში ვაუჩერიზაციაზე ხომ არაა მოსაზრება? განმარტეს, რომ არსებული სახით ა(ა).ი.პ-ი ვერ იარსებებს, ბაღებმა დამოუკიდებლად უნდა გაიარონ ავტორიზაცია, განიხილავენ ვაუჩერიზაციას.

29. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ამირან გირკელიძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღნიშნა, რომ წარმოადგინეს მოსმენილთაგან საუკეთესო ანგარიში.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ აღნიშნა, რომ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოისმინა, მაგრამ თუ არსებობს გეგმა ამ ინფორმაციის მოსახლეობის უფრო ფართო ფენებში გავრცელებისათვის? უპასუხეს - რომ შემუშავებულია ღონისძიებები.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ ანგარიში კარგი იყო, მაგრამ საინტერესოა გარდა სანერგის, სადემონსტრაციო ნაკვეთების ჩაის ფესტივალის მოწყობისა თუ არის სხვა ღონისძიებები დაგეგმილი მეჩაიეობის განვითარებისათვის? საკრებულოს ინიციატივა ჩაის აუქციონის მოწყობის შესახებ რა სტადიაშია? მიეცა სათანადო განმარტებები. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ახალ კულტურებთან დაკავშირებით თუ გაძლიერდა სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში? უპასუხეს-მუნიციპალიტეტის 22 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ იკითხა-რამდენი ტურისტია შემოსული 2019 წელში? უპასუხეს 5 ათასზე მეტი.

საკრებულოს აპარატის უფროსმა ნ.თავდუმამემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებულია გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია.

**30. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ინჭკირველი**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ ანგარიში ყოვლისმომცველი იყო, იმსახურებს კარგ შეფასებას.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაკამ განაცხადა, რომ მერიაში შემოსულ ზოგიერთ კორესპოდენციაზე არათუ დროულად ან დაგვიანებით, საერთოდ არ არის რეაგირება. ამასთან სოფლის მხარდამჭერი პროგრამებით განსახორციელებელი სამუშაოები უნდა იგეგმებოდეს სამი წლით მაინც და მიმდინარე წელს მოსახლეობასთან უნდა ხდებოდეს შეთანხმება. სოფლის ყველა კრებაზე მერის დასწრებაც, მისი აზრით, არაა მთლად გამართლებული ზეგავლენის მოხდენის საფრთხის რისკის გამო. დააყენა საკითხი მერიის წინაშე საკრებულოს წევრებისთვის გამოიყოს ერთი მსუბუქი ავტომობილი, მიემაგროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც საკრებულოს წევრები გამოიყენებენ უფლებამოსილების განხორციელებისას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ იკითხა: რა ღონისძიებებია დაგეგმილი სტატისტიკის წარმოების ამალგების მიზნით? საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის? მიეცა შესაბამისი განმარტება.

საკრებულოს წვრმა დ.მდინარაძემ აღნიშნა, რომ წერილობით მიმართა მერიას იმ მოქალაქეების თაობაზე, რომელთაც საცხოვრებელი სახლების სახურავებია შესაკეთებელი, პასუხი არ მიუღიათ- განუმარტეს მიმართოს მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

**31. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2019წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე**

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ იკითხა-როდის აპირებენ მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებას? უპასუხეს უახლოეს ხანში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა-საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თაობაზე საკრებულოს დადგენილების შესასრულებლად ღონისძიებები 2020 წლის იანვარში უნდა დეგეგმილიყო და ძალაში შესვლიდან 6 თვეში დასრულებულიყო, აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა არაფერი იცის. განუმარტეს, რომ პროცედურულად ტარდება ყველა ღონისძიება, საკრებულოს მუდმივმომქმედ კომისიებს გააჩნიათ წლიური სამუშაო გეგმები, კონკრეტული განსახილველი თუ შესასწავლი საკითხებით, რომლის შესახებაც მერიის შესაბამისმა სამსახურებმა არაფერი იციან. რაც უნდა გამოსწორდეს.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაყამ განაცხადა, რომ მერიამ სასწრაფოდ უნდა წარმოადგინოს საკრებულოში მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღების მოსაკრებლის და გარე ვაჭრობის მოწესრიგების თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტები.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო